

**აჯარა ივანე გომართელის
პუბლიცისტურ წერილებში
(სტამბოლის სავანის მასალების მიხედვით)**

**ADJARA IN IVANE GOMARTELI'S
PUBLICISTIC LETTERS
(BASED ON MATERIALS FROM
THE MONASTERY OF ISTANBUL)**

ნაილე მიქელაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ბათუმი, საქართველო

თამილა ჩურკვეიძე

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შუახევი, საქართველო

ინგა ხერგიანი

ამირან მამალაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის

სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლა

შუახევი, საქართველო

Naile Mikeladze

Shota Rustaveli State University

Niko Berdzenishvili Institute

Batumi, Georgia

Tamila Churkveidze

Tbel Abuseridze Teaching University

of Georgian Patriarchate

Shuakhevi, Georgia

Inga Khergiani

Amiran Mamaladze Public School

of Baratauli, Shuakhevi Municipality

Shuakhevi, Georgia

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ივანე გომართელის მოგზაურობას აჭარაში. ის ამ კუთხეში მოგზაურობდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მან მოინახულა როგორც ზემო აჭარის სოფლები, ასევე, ქვემო აჭარა. თავისი შთაბეჭდილებები, მოსაზრებები წერილების სახით გამოაქვეყნა გაზეთ „ალიონში“ სათაურით „აჭარა და აჭარლები“ (წერილი I – 1917, №64; წერილი II – 1917, №65; წერილი III – 1917, №67; წერილი IV – 1917, №68); განხილული

მასალები დღემდეა დაცული სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანეში, თურქეთის რესპუბლიკაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო გუნდის – როინ მაღაყმადის, შუშანა ფუტყარაძისა და ელზა ფუტყარაძის ძალისხმევით ზემოთ აღნიშნული წერილები შეტანილია წიგნში „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი III, 2024.

სტატია ეხება იმ ეპოქის ისტორიულ გამოცხადებას, როცა აჭარა უკვე დედასაქართველოს შემადგენლობაშია. შემოერთებულ კუთხეს სტუმრობდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შემოჰქონდათ ამ კუთხის აღორძინების საქმეში. ამ მხრივ ყურადსაღებია ერთ-ერთი საზოგადო მოღვაწის – ივანე გომართელის მოგზაურობა აჭარაში.

ივანე გომართელმა აჭარა მე-20 საუკუნის დასაწყისში მოინახულა. დეტალურად იმსჯელა ადგილობრივთა პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ის წერილის დასაწყისში საუბრობს ამ კუთხის ისტორიულ წარსულზე. აქცენტს აკეთებს აჭარის სტრატეგიულ მდებარეობაზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, „აჭარლების ნამდვილი დედა-ენა, რომელიც დაცულია როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთ, არის ქართული“. ასევე, პუბლიცისტი ხაზგასმით აღნიშნავს და სვამს საკითხს: „სამაჰმადიანო საქართველოს აღდგენას და ეროვნულად გათვინობიერებასთან მჭიდროდ არის შეკავშირებული ქართველი ერის მთელი მომავალი. ივანე გომართელი აღნიშნულ წერილებში ეხება ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასაც; მსჯელობს კუთხის საჭირობოტო საკითხებზე, თუ როგორ და რითი შეიძლება ამ კუთხის, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს, გაძლიერება; ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ დანიშნულებას; საუბრობს აჭარის მერმისზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარა ივანე გომართელის პუბლიცისტურ წერილებში „სამოთხედაა“ წარმოდგენილი. ის პირველად სტუმრობდა ხავერდოვან აჭარას და მისი ემოციებიც შესაბამისია. ავტორი გულუხვად იყენებს ტროპის სახეებს: მეტაფორას, შედარებას ეპითეტებს და ა.შ. ამდენად, წარმოდგენილი მასალა ღირებულია შინაარსითა და წერილებში წარმოდგენილი დეტალებით.

საკვანძო სიტყვები: ზემო აჭარის ყოფა, ივანე გომართელი, წერილები აჭარაზე, მუჰაჯირობა.

ABSTRACT

The article aims to highlight the travels of Ivane Gomarteli in Ajara. He visited thThe article examines the travels of Ivane Gomarteli in Adjara during the first half of the nineteenth century. He explored both Upper and Lower Adjara, documenting his impressions and reflections, which were later published in the newspaper Alioni under the title Adjara and the Adjarans (Letter I – 1917, №64; Letter II – 1917, №65; Letter III – 1917, №67; Letter IV – 1917, №68). The materials in question are currently preserved at the Georgian Catholic Monastery

in Istanbul, Republic of Turkey. Through the efforts of the research team at the Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University—Roin Malaqmadze, Shushana Putkaradze, and Elza Putkaradze—these letters have been included in the volume *Letters from the Georgian Monastery of Istanbul*, Vol. III (2024).

The article addresses the historical context of the period when Adjara was already part of the Georgian homeland. Georgian writers and public figures began to visit the region, contributing significantly to its revival. In this respect, the journey of one such public figure—Ivane Gomarteli—in Adjara is particularly noteworthy.

Ivane Gomarteli visited Adjara in the early twentieth century. He engaged in a detailed discussion of the problems faced by the locals and the ways to address them. At the beginning of his letter, he reflects on the historical past of this region, emphasizing Adjara's strategic location and its role and significance. The author points out the most crucial issue: "the true mother tongue of the Adjarans, preserved both at home and in public, is Georgian." In addition, the publicist emphasizes and addresses the matter: "the revival of Muslim Georgia and the awakening of national consciousness within it are crucially linked to the future of the Georgian nation." In his letters, Ivane Gomarteli also discusses the socio-economic state of this region, indicating its urgent problems and suggesting the ways to strengthen this southwestern part of Georgia. He highlights its strategic significance and reflects on its future.

Considering the above, Gomarteli's writings depict Adjara as a 'paradise'. It was his first visit to the breathtaking Adjara, and his emotions reflect this experience. The author generously employs tropes such as metaphors, comparisons, epithets, and so on. Thus, the material presented in Gomarteli's letters remains valuable due to both its content and details it provides.

Keywords: Life in Upper Adjara, Ivane Gomarteli, letters about Adjara, muhajirism.

შესავალი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო – აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მისი წარსული ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. განსაკუთრებით, აჭარის როლი კარგად იკვეთება და ასახულია X-XI საუკუნის ისტორიოგრაფიაში. ის ამ პერიოდში გაერთიანებული საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ეს კუთხე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის პროცესებში. ამ პერიოდის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობათაგანს წარმოადგენს სხალთის ეკლესია, ზიხანის ციხე, აბუსერისძეთა საერისთავო და სხვ.

აჭარის ისტორიის ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს ოსმალეთის იმპერიის მიერ მისი დაპყრობა. ეს მხარე თურქთა ბატონობის პერიოდში

ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითდა; განადგურდა მატერიალური კულტურის ძეგლები, მოისპო მეურნეობის მოწინავე დარგები... აიკრძალა ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები და სხვ. ყოველივემ კი გარკვეული ასახვა ჰპოვა ერის ისტორიაში.

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესი წარიმართა კომპლექსურად, კომპარატივისტიკის, ისტორიზმის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით. ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ: ივანე გომართელის შთაბეჭდილებები, მოსაზრებები აჭარის შესახებ, რომლებიც წერილების სახით გამოაქვეყნა გაზეთ „ალიონში“ სათაურით: „აჭარა და აჭარლები“ (2017), ისტორიული წყაროები და მკვლევართა მოსაზრებები.

მსჯელობა

აჭარაში „ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკა განსაკუთრებით ძლიერდებოდა მე-16 საუკუნის დასაწყისიდან. ამ დროს იგი განსაკუთრებით დასავლეთს უტევდა შავი ზღვის სანაპიროთი აჭარის მიმართულებით, აფხაზეთიდან და მესხეთის მხრიდან. 1500 წელს ბათუმთან დიდი ბრძოლა მომხდარა თურქების წინააღმდეგ. ბრძოლაში მონაწილეობდა აჭარის, ლივანისა და გურიის მოსახლეობა. ქართველებს ამ ბრძოლაში ქაიხოსრო ათაბაგი მეთაურობდა. ცხარე ბრძოლებში ათაბაგი მოკლეს, მაგრამ თურქებმა ბათუმი მაინც ვერ აიღეს. 1504 წელს ბათუმზე კლარჯეთიდან ოსმალეთის დიდი ჯარი წამოვიდა. მან გაიარა სამხრეთ საათაბაგო. ყველანი დაიღუპნენ. სოფელ მარადიდში 50 კომლიდან ხუთი კომლია გადარჩენილა. მსგავს წინააღმდეგობას უწევდნენ მაჰმადიანობის გავრცელებას აჭარის ყველა სოფელში. მაგრამ საბოლოოდ მოსახლეობა განიცდიდა რა მორალურ, ეკონომიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას, იძულებული შეიქმნა მიეღო მუსლიმანური სარწმუნოება. აჭარაში მუსლიმანობის გავრცელება, რაც მე-16 საუკუნეში დაიწყო, მხოლოდ მე-19 საუკუნეში დამთავრდა“ (მეგრელიძე 1956: 10-11).

მსოფლიო ისტორიაში საყოველთაოდაა აღიარებული XIX საუკუნის 70-იანი წლების აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში. 1875-1876 წლებში ოსმალეთს ბალკანეთში დიდი პრობლემები შეექმნა; აჯანყდა ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია. სამხრეთ სლავების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი, რომლებსაც რეგიონში რუსეთის გავლენის ზრდა აშინებდათ. გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის მემკვიდრეობის გაყოფისათვის. რუსეთმა სლავ ხალხს დაუჭირა მხარი. მით უმეტეს, რომ თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება ცარიზმის საოცნებო საგანს შეადგენდა. რუსეთმა 1877 წელს ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარმა გადაკვეთა თურქეთის საზღვრები როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-მცირე აზიაში (ნარკვევები 1970: 439).

ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ შედეგად მოყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება.

საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რომელიც რუსეთის განმათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში.

წყაროთა ცნობით, ქართველი პატრიოტები კვლავ ცდილობდნენ აღედგინათ კავშირი ოსმალეთის საქართველოსთან. ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს: დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა. ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვებმა. ივანე კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცს – შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, რომელიც თურმე ოცნებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედاسამშობლოსთან შეერთებაზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ მთელი ხალხი აემხედრებინა თურქების წინააღმდეგ (ახვლედიანი 1957: 116-123).

აჭარის მაშინდელი მთავრობა (ბეგები), მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა ფარული მოლაპარაკებებით ან რაღაც სხვა გზებით დაბრუნებოდა დედასაქართველო. ჯერ კიდევ ერეკლე მეფისა და სხვათა მეფობისა თუ მმართველობის დროს ჰქონდათ ფარული მიმოწერები. როგორც ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე დასავლეთ საქართველოს მეფეებს. ყოველივეზე კი მეტყველებს არაერთი წყარო თუ ჩანაწერი.

ზაქარია ჭიჭინაძის ერთ-ერთ წიგნში დეტალურადაა წარმოდგენილი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის დამოკიდებულება არსებული საკითხისადმი: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, – აღნიშნავდა შერიფ-ბეგი ივ. კერესელიძესთან საუბარში, – მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთა შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს“ (ჭიჭინაძე 1911: 229-230). ამ საკითხებზე მსჯელობს და ადასტურებს აქაურთა დამოკიდებულებას ოსმალეთის იმპერიისადმი კონსული პალგრევი, რომელიც ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდის ვითარებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ოსმალეთის ხელისუფლება არ უყვართ აქ (იგულისხმება აჭარა – ნ.მ.) კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ფოცხოვსა და ჩილდირში, რაც ხშირად აჯანყების საბაბად გვევლინება“ (Очет... 1882). მაშინდელი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ცდილობდნენ ყველა საშუალება გამოეყენებინათ და ფარული კავშირებით აჭარა საქართველოსთვის დაებრუნებინათ. იცოდნენ, რამდენად ღირებული იყო ქვეყნის აღმავლობისათვის ბათუმის დაბრუნება. ამასთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძე წერდა: „სტამბოლისა და სევასტოპოლის გარდა, შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არ ჰქონდა და არა აქვს, და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს (სკანდელი // ნიკოლაძე 1873: 13). ჩვენდა სასიკეთოდ, 1875 წელს თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგოვინელთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. ადგილობრივი მოსახლეობა ისედაც უკმაყოფილო იყო თურქთა ბატონობით. ამას დაემატა ოსმალეთის იმპერიის მოდერნიზაციის (თანზიმათი) ცდა, რასაც გადასახადების მკვეთრი ზრდა მოყვა. მძიმე გადასახადებით ისედაც გაღიზიანებულმა აჭარლებმა ჰერცოგოვინაში

ამბოხების ჩახშობის მიზნით ორგანიზებულ სამხედრო გაწვევებს აჯანყებით უპასუხეს (ახვლედიანი 1957: 110).

ყოველივე ქვეყნის საკეთილდღეოდ ვითარდებოდა. ამასთან დაკავშირებით დროების კორესპონდენტი წერდა: „აჭარელთა აჯანყების მიზეზის გამოსარკვევად ოსმალეთის უმაღლესმა მთავრობამ, მოსამართლე იბრაიმ ალა გამოგზავნა, მაგრამ ხალხმა უარი თქვა და შეუთვალა – ჩვენ მაგისტანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა წარმოებს რა, არ გეახლებითო, საიდანაც მობრძანებულხართ, იქვე წაბრძანდითო (დროება 1875: 120).

ცნობას ანტითურქული აჯანყების შესახებ ქართველი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ს. მესხი ე. მელიქიშვილს სწერდა: „ქობულეთში ოსმალთა ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს?... იქნებ რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონო“ (მესხი 1950: 196).

რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობის მისაღებად ქართველებიდან იმაზე მეტი ადამიანი ჩაეწერა, ვიდრე მთავრობის მოთხოვნილებაში ეწერა. ყოველივე კი ხაზს უსვამდა იმას, რომ აჭარის მოსახლეობა ყველაფერს გააკეთებდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა.

ბერლინის ხელშეკრულების გადაწყვეტილებით, რუსეთს შემოუერთდა 250 ათასი მოსახლე. ამავე ხელშეკრულებით ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ“ (ახვლედიანი 1978: 161).

„ომის შედეგებითა და სან-სტეფანოს ზავით ბევრი სახელმწიფო არ იყო კმაყოფილი, მაგრამ მშვიდობის სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და 1878 წლის ზაფხულში, ევროპული სახელმწიფოების ძალისხმევით, ბერლინის კონგრესი გაიმართა, რომლის შედეგადაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის საბოლოოდ დამყარდა მშვიდობა. რუსეთმა შეიერთა ბათუმის, ყარსის, არტაანისა და ისტორიული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი. ბერლინის კონგრესზე ინგლისმა მხარი დაუჭირა გერმანია-თურქეთის კოალიციას, რათა ბათუმი გამოცხადებულიყო პორტო-ფრანკოდ. განაწყენებული რუსები შეეცადნენ ჩაეშალათ ბერლინის კონგრესი, მაგრამ ბისმარკის მოქნილობით რუსეთი მაინც დაიყოლიეს და ბათუმი 'პორტო-ფრანკოდ', ანუ თავისუფალ სავაჭრო ზონად გამოცხადდა“ (ძველი ბათუმის ქრონიკები, 2009).

წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ერთ-ერთი საზოგადო მოღვაწის – ივანე გომართელის მოგზაურობას ეხება, რომელმაც მთელი აჭარა შემოიარა, თავისი შთაბეჭდილებები, მოსაზრებები გამოაქვეყნა გაზეთ „ალიონში“ სერიიდან – „აჭარა და აჭარლები“, რომლებშიც მსჯელობდა კუთხის საჭირობოროტო საკითხებზე, თუ როგორ შეიძლებოდა ამ კუთხის აღმავლობა.

ივანე გომართელმა აჭარა 1910-იან წლებში მოინახულა. მან დეტალურად აღწერა ამ კუთხის ბუნება, იმსჯელა ადგილობრივთა პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ასევე, ისაუბრა იმ საკითხებზე,

თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება. წერილის დასაწყისში ყურადღებას ამახვილებს აჭარის უმშვენიერეს ბუნებაზე: „აჭარა ნაწილი კლარჯეთისა ანუ მესხეთისა: კლარჯეთი კი ჩვენი ბრწყინვალე მეთაურია. ქართველი ერის აზროვნების, ხელოვნების, და საერთოდ კულტურული აკვანი, პირველად კლარჯეთში დაირწო, კლარჯეთი აკლდამა არის ჩვენი ძველი დიდების ნეშტებისა. კლარჯეთი ისტორიაა ჩვენი წარსულისა, კლარჯეთი მოწამეა ჩვენი აყვავებისა და ჩვენი დაცემისა, ჩვენი ძლიერებისა და ჩვენი დასუსტებისაც, ჩვენი აშენებისა და ჩვენი დამხოვისაც. ამიტომ მიმეჩქარებოდა აჭარისკენ“ (გომართელი 1917, №64: 436). ივ. გომართელი ხაზს უსვამს იმას, რომ ის არც ისტორიკოსია და არც სიძველეთა მკვლევარი, მაგრამ სწამდა, რომ აჭარის ბუნება, მთები, წყალი ბევრ რამეს ეტყოდა, მას სწყუროდა მათი ნათქვამის მოსმენა. მისი სილამაზით აღტაცებული წერდა: „აჭარისკენ მომავალს შორიდანვე ეპატიჟებიან და გულს უღებენ აჭარის მთები, რომლებიც ფეხით ზღვას ებჯინებიან. ქედით კი ცის ლაჟვარდ კამარას ესიყვარულებიან. მაგრამ სანამ აჭარის მთებს შეუერთდებოდეთ, წინ გეფინებათ, ფეხქვეშ გეშლებათ კახაბრის ველი, რომელიც ქურდულად იპარავს თვალს – მისრიალებთ და მაინც ვერ გალევთ“ (იქვე: 436).

ივანე გომართელი, როგორც ფერმწერი, ხატავს და ხოტბას ასხამს აჭარის მთებს. სიმბოლურია მისი მისალმებაც: „მოგესალმებით ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი“. ბუნებრივია, ისტორიულ წარსულს გულისხმობდა. სწორედ მაშინ უფრო მეტად უჭირდა საქართველოს დანარჩენ კუთხეებს. ხელფეხშეკრული, დანაწევრებული ერის შვილებს არ შეეძლოთ დახმარებოდნენ აჭარასა და ტაო-კლარჯეთს. ისტორიულმა ბედუკუდმართობამ იმსხვერპლა მათი მომავალი.

ისტორიული რეალობით გულდაწყვეტილი მწერალი თვალს ვერ აშორებს აჭარის ქედებს და დასძენს: „ბევრგან მინახავს ლამაზი ბუნება, ლამაზი მთები, მაგრამ სულ სხვა არის აჭარის ბუნება“. ფერთა გამა მეტ ინტერესს უცხოველებს ამ კუთხისადმი და ფეხის გადადგმას, ჩანაფიქრსაც კი გვიმხელს აფორიაქებული მკვლევარი: „ყოველი ფეხის გადადგმაზე იცვლება ბუნება, თვალი ილაღება, სილამაზის ხილვით. ხევი, მდინარე, დელე, წყარო, ჩანჩქერი, წყალვარდნილი, კლდე, ტყე, – ერთი მეორეს ეჯიბრებიან და სწორედ აქ არის შესაფერისი პოეტის (ვაჟა-ფშაველას) სიტყვები:

„ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!
ხევი მთას ჰმონებს, მთა ხევს;
წყალნი – ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი მიწას და მიწა
თავის აღზრდილთა მცენარეთ“.

აჭარა ივანე გომართელის პუბლიცისტურ წერილებში სამოთხედაა წარმოდგენილი. ის პირველად სტუმრობდა ხავერდოვან აჭარას და მისი ემოციებიც შესაბამისია. ავტორი გულუხვად იყენებს ტროპის სახეებს: მეტაფორას, შედარებას ეპითეტებს და ა.შ.

ავტორი ადარებს აჭარის მთა-გორაკს სხვა კუთხის მწვერვალებთან, მთაგრეხილებთან და კითხვას სვამს: „მამისონი? თერგის ოსეთის კლდენი,

სვანეთის მთები, კავკასიონი? დიდებული მთაკლავნილია, მაგრამ გულქვანი, მრისხანენი, მობერებულნი არიან. იქ ცივა, იქ მუდამ ზამთარია.

აჭარის მთები კი მუდამ გულიანი, მუდამ მოდიმარნი, მუდამ ახალგაზრდანი, მუდამ საქორწილოთ გამზადებულნი, მუდამ სიყვარულის ფერხულში არიან“ (გომართელი 1917, №64: 436).

ბუნების პეიზაჟით გაბრუებული მოგზაური მითოსურ შრეებსაც გადაწვდება და წერს: „თუ დიონისე ოდესმე ქვეყნად იყო, ის უსათუოდ აჭარის კალთებზე დანავარდობდა. ქეიფობდა და დროს ატარებდა...“ (იქვე: 437).

მართლაც, ამ მადლიან მიწაზე, სადაც პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებულს ქრისტიანობა უქადაგია, პირველი ტამარი აუშენებია, პირველი მღვდელი უკურთხებია და საქართველოში პირველი ქრისტიანები მოუნათლავს... მისი მოგზაურობის დროს გავერანებული, გაპარტახებული კუთხის წიაღში ძველი დიდება რაღაც სახით მაინც დაუნახავს: „აჭარაში აქა-იქ შეხვდებით ვენახს – მაღლარს. ვინ გააშენა? არავინ იცის. ამბობენ, ეს ვენახები ძველადვე არის დარჩენილი, როცა აჭარლების წინაპრები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენო. ნასაყდრალ ადგილებში ღვინის ქვევრებიც ჰყრია მიწაში თურმე, ძველი მარნებიც ყოფილა აქა-იქ დარჩენილი“... (იქვე: 437).

გაოცებული პუბლიცისტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე, თაღვან ხიდზე, წერდა: „აჭარის წყალზე თამარის ხიდი დავინახე, ქვითკირის ხიდი, თაღად გადაყვანილი მდინარეზედ დღესაც კოხტად არის დაკიდებული.

მრავალი უბედურების მოწამეა, მაგრამ არც დანგრეულა. არც ჩაზნექილა და დღესაც სავსე ურემი თამამად გაივლის ზედ. თუმცა ხიდის ერთადერთ საყრდნობს მარტო ნაპირები შეადგენს“ (იქვე: 437).

წერილის ავტორი თავისი ფანტაზიითა და ოცნებებით საუკუნეების მიღმა დარჩენილ საქართველოს დიდებას ხედავს. ფიქრთა ბურუსიდან გამორკვეული კი სევდიანი წერს: „თამარის ხიდი აშკარად მოწმობს, თუ რა მაღალი იყო ჩვენი კულტურა ძველად. ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე ხანა ახსოვს ამ ხიდს ჩვენი ისტორიისა. ეს ხიდი მარტო წარსულზედ კი არა, მომავალზეც გველაპარაკება“... უძველესი ისტორიის ნოსტალგიით შეპყრობილი ივანე გომართელი, როცა თამარის ხიდებსა და ციხეებს ხედავდა, ალბათ ილია ჭავჭავაძის „ხიდცატეხილობის“ პრობლემაც ახსენდებოდა. თუმცა იქ თავადებს და გლეხებს შორის იყო ხიდი ჩატეხილი... აქ კი აჭარასა და დედاسაქართველოს შორის, რომელიც საუკუნეების შემდეგ აღდგა.

ამდენად, ეს კუთხე სათუთ, თავისებურ, თბილ მიდგომასა და სიყვარულს საჭიროებდა, რათა საუკუნეების განმავლობაში მიღებული ჭრილობები გამრთელებულიყო. ბუნებით აღტაცებული და ისტორიის გახსენებით დადარდიანებული პუბლიცისტი დასძენს: „ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა, წყეულმა ბედმა დაგლიჯა ის, მაგრამ დღეს დგება ხანა აღდგენისა, გამთლიანებისა და ახალი აყვავებისა“ (იქვე: 438).

მკვლევარი დიდ იმედს ამყარებს მომავალზე და ამბობს: „ეს იქნება გაგრძელება ჩვენი ძველი კულტურისა და დამთავრება, დაგვირგვინება ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭისა“. ის დეტალურად აღწერს და ადარებს აქაურთა ეთნოგრაფიულ ყოფას გურიისა და იმერეთის სოფლებთან. ის ყველგან, ყველაფერში ქართულ ფესვებს ეძებს – „მდინარის ორივე მხარეს მთების კალთებზე გამოფენილია აჭარლების სოფლები. სოფელი სოფელზე არ არის ისე გადაბმული, როგორც იმერეთში. სახლები უფრო ახლო-ახლო არის ერთიმეორეზე, კოხტა ხის აივნებით, ქვითკირის ბუხრებით, ყავრით ან კრამიტით შეხურული, – აი უმთავრესად აჭარელის სახლი. შორიდან სოფელი ლამაზ სურათს წარმოადგენს და გურიის სოფელს, სახლკარსა და მოსახლეობას მოგაგონებს“ (გომართელი 1917, №64: 438).

ივანე გომართელი აჭარასა და მის მკვიდრებზე წერდა: „მარტო ოდები კი არა, ხალხიც მთლად გურულებია სახით, ლაპარაკის კილოთი, ტანთჩაცმულობით... ჰკითხავთ გამვლელ-გამომვლელ გვარს: ბეჟანძე, შარვაშიძე, დიასამიძე, მიქელაძე და სხვ. აი რას გაიგონებთ.

ქართული ენა წმინდად არის დაცული. ბევრმა ოსმალური იცის, ბევრმა კი არა. მთელ აჭარას რომ გაივლით, ყველაფერი გეუბნებათ, რომ აქ საქართველოა, ქართველი ხალხია, ზნე-ჩვეულება, ენა, სიმღერა, ჩაცმადახურვა ქართული“ (იქვე: 438).

ივანე გომართელი ამ ემოციების მერე ქართველ ქალებთან შეხვედრის მტკივნეულ ეპიზოდზე ამახვილებს ყურადღებას: „მაგრამ აი გამოჩნდნენ ქალები, სწრაფად იბუდნიან პირსახეს. გზაზე გადადგებიან, მობრუნდებიან და ზურგს მოგვიქცევენ, სანამ არ გაშორდებით.

მხოლოდ ახლა რწმუნდებით, რომ აქ მთლად ქართული ჩვეულება არ არის. რომ ჩვენს შორის რაღაც განსხვავებაა. და ეს რელიგიაა, რომელიც ავალდებულებს მათ ასე მოიქცნენ“ (იქვე: 438). ბუნებრივია, მკვლევრისთვის უცხო არაა, რომ დედასამშობლოსთან მრავალსაუკუნოვანმა განშორებამ გარკვეული დაღი დაასვა აქაურ მკვიდრებს. იძულებით შეაცვლევიან რწმენა და იძულებულნი იყვნენ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ავალდებულებდა მათი რელიგია (იქვე: 438).

ივანე გომართელი თავის მეორე წერილში დეტალურად განიხილავს ამ კუთხეში არსებულ რელიგიის საკითხებს: „სინდისის, რწმენის, სარწმუნოების სრული თავისუფლება, – აი რას იცავს ქართველი დემოკრატია. აჭარის ხოჯებს, მოლებს, ბეგებს ცოტა არ იყოს, ეშინიათ, ვაი თუ ჩვენს მოძმე ქრისტიან ქართველებს გულში რაიმე ფარული ზრახვა ჰქონდეთ ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგო. ჩვენი ერთობის მტერიც ყურში ჩასჩურჩულებენ აჭარლებს, უფროხილდით ქართველებს, მაგათ თქვენი გაქრისტიანება უნდათო. აჭარლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ქართველ დემოკრატias არავისი გაქრისტიანება არ უნდა.

უწინდელი მბრძანებლები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თავის სარწმუნოებას, მაგრამ ეს მბრძანებლები დემოკრატები კი არ იყვნენ, არამედ დემოკრატის მტერი“ (გომართელი 1917, №65: 439).

აჭარისთვის XIX საუკუნის მეორე ნახევარი უკავშირდებოდა როგორც განმათავისუფლებელ, ასევე ტრაგიკულ ისტორიებს. 1877-1878 წლის

რუსეთ-ოსმალეთის ომმა გადაწყვიტა აჭარის მოსახლეობის ბედი. თუმცა ამ გათავისუფლებას ახლდა მოსახლეობისთვის ავადსახსენებელი მუჰაჯირობა, რომელმაც უამრავი ადამიანი გააუბედურა. მუჰაჯირობა ერთი მხრივ და ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა. მან არა მარტო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე იქონია გავლენა, არამედ ბევრი საფიქრალ-საზრუნავი დაუტოვა მომავალ თაობებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასახლებულ მომმეტა შთამომავლებში ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულის შენარჩუნება- განმტკიცების თვალსაზრისით (დიასამიძე 2016: 354).

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ბერლინის კონგრესი შედეგა. აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს დაუბრუნდა ნაომარი სოფლებითა და ტყეებით დაცხრილული ბათუმით, მაგრამ ომის შემდეგ ხალხის უმეტესობამ ოსმალეთში დაიწყო გახიზვნა. ბერლინის კონგრესის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ბათუმის მცხოვრებლებს განუცხადა: ვისაც აქ ცხოვრება არ გსურთ და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასვლა, სამი წლის განმავლობაში უნდა გადახვიდეთ, მერე აღარ გაგიშვებთ. სამი წელიწადი ღელავდა ბათუმის ოლქი. სხვადასხვა სოფლებიდან ათასობით ადამიანი მოედინებოდა ბათუმში, რომ გემით ოსმალეთში გადასულიყვნენ. აჭარაში მუჰაჯირობა დაიწყო. ტერმინი მუჰაჯირი (გადახვეწილი, ემიგრანტი) საქართველოში აქტუალური მე-19 საუკუნეში გახდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ჯერ აფხაზეზმა დაიწყო ოსმალეთში გადასახლება, შემდეგ კი მუჰაჯირობა აჭარაშიც დაიწყო.

რუსეთის ჯარის საბრძოლო ოპერაციების შედეგად, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირდა ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ჯგუფებად გადასვლა როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ამის მიზეზი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ქართველი მუჰაჯირების ოსმალეთში გადასვლას ესა თუ ის კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. ეს პროცესი ნათლად აისახა მაშინდელ ქართულ თუ უცხოურ პუბლიცისტიკაში. იმდროინდელი მოღვაწეები: ი. გვარამაძე, ი. გოგებაშვილი, გრ. ორბელიანი, ს. მესხი, გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, დ. ბაქრაძე და სხვები გულისტკივილით აღნიშნავდნენ სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის უცხოეთში გადასახლებას, ასახელებდნენ ამ პროცესის სხვადასხვა მიზეზს: ეკონომიკურ გაჭირვებას, ჩინოვნიკთა უდიერობას, ისლამის პროპაგანდას და ა. შ.

ისინი, ვინც გადაურჩნენ ვიღაცის აგიტაციას, დევნას, ზეგავლენას და თურქეთში წასვლისას სერიოზულ თანადგომას ელოდებოდნენ, თითქმის სამი საუკუნეგამოვლილი კუთხე და მისი შვილები ქართულ სინამდვილეს, კულტურას, ენას, მწერლობას ჩამოშორებულნი იყვნენ. ოსმალის მმართველობის დროს იდეზნებოდა ყველაფერი, რომელიც ეროვნულთან, ქართულთან ასოცირდებოდა. შემოერთებულ აჭარაში აუცილებელი იყო სკოლების გახსნა, სადაც შეძლებდნენ აქაურები ქართული ენის შესწავლას, ქართულად წერას და ა.შ.

ეს თემა ყველა პერიოდის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე აქტიურად წერდა ამ პრობლემებზე, მაგრამ ამაოდ. ის ეხებოდა

აჭარის მუჰაჯირობის საკითხებს. მუჰაჯირობის თემა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უშველელელი ლაქა და ტკივილი იყო. ილია თავის ერთ-ერთ წერილში გამოკვეთდა მუჰაჯირობის ძირითად მიზეზს და ხაზს უსვამდა ამ კუთხის არაინფორმირებულობაზე: „ახლადშემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყოველივე კალიაზე მსუნაგი, უფრო ხარბი, გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რამდენიმე კაცს გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზე დაგიდგება... არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დავდოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდე მიიყვანს საქმეს“ (დროება 1880, №196).

არაერთი ვრცელი წერილი იბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორების მიერ გაზეთ „დროებაში“. ერთ-ერთი ასეთი ვრცელი წერილია – „რა გავაკეთეთ ბათუმში“ (დროება 1880, №4). წერილის ავტორი იხსენებს თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს გამართულ ნადიმს, სადაც სუფრის წევრები მგზნებარე სიტყვებით ულოცავდნენ ერთმანეთს აჭარის სამშობლოსთან შემოერთებით გამოწვეულ დიდ სიხარულს. მაგრამ, მისი თქმით, ეს პირველი აღტაცება დრომ მალე გაანელა და როცა ჯერი კონკრეტულ საქმეზე მიდგა, დაპირებების შესრულება არავინ ისურვა. ავტორი დასძენს: „ამის შემდეგ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ იმათ ჩვენ ვერ გვიცნეს ნამდვილ ძმებად“. სტატია მთავრდება მოწოდებით: „ნაპოვნი ძმა ხელახლად არ უნდა დავკარგოთ!“ ამავე აზრის შემცველია ვინმე მესხის – ივანე გვარამაძის პუბლიკაცია, ავტორი შენიშნავს, რომ „ოსმალის საქართველოს შემოერთებამ დიდი სიხარული მოგვარა ყველას. ლამის საფლავებზე მიდიოდნენ და ჩასმახოდნენ: 300-400 წლის დაკარგული ძმები დაგვიბრუნდნენო, მაგრამ ახლა აღარავის ახსოვს იმათი გასაჭირი. ისინი გარბიან ოსმალეთში, ამ მიზეზის გამოძიებას და მოსპობას არავინ ფიქრობსო“ (დროება 1880, №196).

განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს სერგი მესხისა და გიორგი წერეთლის როლი. პირველი თანამემამულეებს მოუწოდებდა: „თუ გვინდა, რომ შევინარჩუნოთ ახლად ჩვენ უბეში დაბრუნებული ჩვენი ძმები, მათთან ურთიერთობა დიდი სიფრთხილითა და სიფაქიზით უნდა დავიწყოთო. მისი აზრით, ჯერ უნდა გავეცნოთ იმათ ისტორიას, თუ რა მიზეზით არიან ისინი მაჰმადიანები, ჩვენ – ქრისტიანები. შემდეგ გავაცნოთ ჩვენი თავი. არავითარ შემთხვევაში არ ჩამოუგდოთ საუბარი სარწმუნოებაზე, გავმართოთ მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა, „შკოლები“. მხოლოდ ამ იმედით, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ ახლადშემძენილ საქართველოში ქართველობის ნდობის მოპოვებას (დროება 1878, №41).

1878 წლის აგვისტოში გენერალ-მაიორი ტრეიტერი კი კავკასიის მთავარსარდალს სწერდა: ჩემს ნაწილებს შეურთდა თავადი ერისთავის ნაწილები და 24 აგვისტოს დავიძარი ბათუმისაკენ, 25 აგვისტოს გეზი ავიღეთ ზემო აჭარისკენ: ხულო, ფურტო, ჭვანა... შემდეგ ქედა. აჭარის ფარგლებში, ყველა გზაზე რაზმის მოძრაობას ზემო და ქვემო აჭარის დეპუტაცია და მოსახლეობა ხვდებოდა პურ-მარილით, ერთი სიტყვით, მცხოვრებთა განწყობილება კარგია (Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 г.г., стр. 254) (მგელაძე 2014: 140).

საუბედუროდ, ივანე გომართელი წლების მერე ისევ იმ მტკივნეულ თემებზე საუბრობს, რაც თავის დროზე ილიას თაობას

აწუხებდა. ის მაქსიმალურად ცდილობს დააბალანსოს ურთიერთობა ახლადშემოერთებულ კუთხესთან, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი იარები, მუჰაჯირობის ტკივილი არ მოშუშებია და მიმართავს აჭარის მოსახლეობას დიდი სიყვარულით: „იყავით თავისუფალი, ევდრეთ ღმერთს, ისე როგორც თქვენ გინდათ, აასრულეთ ის წესები, რომლებიც თქვენ გწამთ“ და იქვე დასძენს, დღეს დემოკრატიის პირობებში ამ საკითხსაც სხვაგვარი ინტერპრეტირება უნდა მოვუძებნოთ: „აჭარლების წინაპრები იყვნენ ქართველები, მათი ჩამომავლობაც – დღევანდელი აჭარლები, რასაკვირველია, ქართველები არიან. უძველეს დროს თუ ქრისტიანები იყვნენ, დღეს მაჰმადიანები არიან, – ეს სრული მათი სინდისის საქმეა: მათ ხელის შემშლელი ამ კითხვაში ქართველი ქრისტიანები არასოდეს არ იქნებიან, – ამას მხოლოდ მტრები თუ იტყვიან. ქართველი ადამიანი მაჰმადის იწამებს, ქრისტეს, თუ მოსეს, – მაინც ქართველია და მაინც ქართული სისხლით, ხორცით, ჩამომავლობით, ენით, სამშობლოთი, ისტორიით სჯულის საქმეში ის ყურანს აირჩევს, თუ სახარებას, – ეს მართლმან უნდა იცოდეს და მისმა სინდისმა. მე მინდა, რომ ეს კითხვა იმდენადვე ნათელი და გარკვეული იყოს აჭარლებისათვის, რამდენადაც მათი მოძმე – ქართველი დემოკრატიისათვის (გომართელი 1917, №65: 440).

ავტორი აღნიშნავს, რომ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, სხვა ქვეყნის უღელქვეშ ყოფნას აქაურთა შრომისადმი დამოკიდებულება შეუცვლია: „აჭარელი არ არის ზარმაცი, როგორც ზოგიერთი მთის ხალხი, მაგრამ არც იმდენად გამრჯეა, რამდენადაც იმის მდიდარ ბუნებას შეეფერება... დარწმუნებული ვარ ეს იმიტაც აიხსნება, რომ აჭარელი ცოდნას მოკლებულია. მიეცით მას მისი ქვეყნის შესაფერისი სამეურნეო ცოდნა და ის უსათუოდ ააყვავებს აჭარას. შრომის მეტ უნარს, მეტ ენერგიას გამოიჩენს. ...მას არც ვაჭრობა და არც ხელოსნობა უყვარს“ (იქვე: 440).

ჯერ კიდევ წინარე საუკუნეში ამავე საკითხს ეხებოდა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც გამორჩეულად ახასიათებდა მათ შრომასა და შედეგს: „ხეობა ვენახოვან ხილიანი, მოსავლიანი თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლეულითა, არს ტყიანი, კლდიანი, ვიწრო ხრამოვან-ღრატოიანი. მთანი ტყიან-ნადირიანი, კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“ (ვახუშტი 1941: 1760).

ივანე გომართელი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს აქაურთა ენის საკითხს: „აჭარის ენა ქართულია, თურქულად უფრო დიდკაცობა, ბეგები ლაპარაკობენ. ქართული ენა ქალებშია მტკიცედ დაცული და თუ აჭარამ თავისი სამშობლო ენა შეინარჩუნა. მგონია, აჭარელ დედას უნდა ვუმაღლოდეთ. ტკბილ ნანასთან და ტკბილრძესთან ერთად აჭარელს ის ბავშვობიდანვე ათვისებს სამშობლოს ენას“ (გომართელი 1917, №67: 441).

ივანე გომართელი საუბრობს მნიშვნელოვან ქმედებებზე, რომლებიც საქველმოქმედო საზოგადოებამ გააკეთა აჭარაში და აღნიშნავს: „გავჰყვეთ იმის კვალსა და მისი შრომა გავზარდოთ, გავაფართოვოთ. აჭარას აკლია ცოდნა, ამისათვის საჭიროა აჭარაში პირველ-დაწყებითი სასწავლებლები, სადაც პატარა აჭარლები წერა-კითხვას ისწავლიან.

აჭარლების ნამდვილი დედა-ენა, რომელიც დაცულია როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთ არის ქართული“ (გომართელი 1917, №68: 445). ასევე, პუბლიცისტი ხაზგასმით დასძენს: „სამაჰმადიანო საქართველოს აღდგენას და ეროვნულათ გათვინობიერებასთან მჭიდროდ არის შეკავშირებული ქართველი ერის მთელი მომავალი. სამაჰმადიანო საქართველო მცხოვრებთა რიცხვით და ტრადიციებით თითქმის მთელი საქართველოს მესამედი. სამაჰმადიანო საქართველო თავისი მდებარეობით ერთი საუკეთესო ნაწილია. ამიტომ ქართველი ერის მერმისი შეუძლებელია ისე, თუ სამაჰმადიანო საქართველოს ეროვნული თვალეზი არ აეხილა. ეს ძალიან კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ ქართველს... ჩვენი დრო ერთია თვით გამორკვევის, ეროვნებათა აღდგენის დროა. ქართველი ერი უნდა აღსდგეს. ის ვერ აღსდგება თუ სამაჰმადიანო საქართველოს ეროვნული შეგნების ძლიერი შუქით არ გაბრწყინდა. ამისათვის კი საჭიროა ჩვენის მხრით მედგარი კულტურული მუშაობა სამაჰმადიანო საქართველოში (იქვე: 447-448).

მართლაც, აჭარა მთელი საქართველოს ის საიმედო ფარი იყო, რომელმაც დაიცვა ქართველი ერი უცხო ურდოების შემოსევებისაგან და თავის თავზე მიიღო დარტყმები, რომელიც მთელ საქართველოს უქადდა განადგურებას.

ქართველი ხალხის ისტორია სავსეა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის გმირული ეპიზოდებით... „არ შეიძლება მოიძებნებოდეს მსოფლიოში ისეთი მეორე მხარე, რომელსაც ამდენი შემოსევა-დაპყრობა, დატაცება-აოხრება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავისი ხანგძლივი ისტორიის სიგრძეზე განიცადა (ბერძენიშვილი 1941).

დასკვნა

ამდენად, აჭარის საისტორიო სიტყვიერების რეალურ საფუძველს მხარის ისტორია წარმოადგენს. განხილული საკითხებიდან კარგად ჩანს, აჭარამ იმ პერიოდში როგორი რთული გზა გაიარა, იწვნია გოლგოთა, ეწამა, მაგრამ ის დღეს ერთიანი საქართველოს გამორჩეული კუთხეა, რომელიც ამშვენებს დედა საქართველოს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახვლედიანი 1956: ახვლედიანი ხ., სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 1956.
ახვლედიანი 1978: ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი, 1978.

ბერძენიშვილი 1941: ბერძენიშვილი ნ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ (თათართა ბატონობის ხანა). თბილისი, 1941.

გომართელი 1917: გომართელი ი., აჭარა და აჭარლები. წერილი I – გაზეთი „ალიონი“, 1917, №64; წერილი II – №65; წერილი III – №67; წერილი IV – №68. წიგნში: წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, III. წიგნის შემდგენლები: როინ მალაყმაძე, შუშანა ფუტყარაძე, ელზა ფუტყარაძე. ბათუმი, 2024.

- დიასამიძე 2016:** დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ტ II. ბათუმი, 2016.
- დროება 1875:** გაზეთი „დროება“, 1875, №120.
- დროება 1878:** გაზეთი „დროება“, 1878, №41.
- დროება 1880:** გაზეთი „დროება“, 1880, №4; №196.
- ვახუშტი 1941:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
- მგელაძე 2014:** მგელაძე ვლ., პეტრე უმიკაშვილი და ოსმალეთისდროინდელი სამხრეთ საქართველო. ბათუმი, 2014.
- მეგრელიძე 1956:** მეგრელიძე შ., აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან. ბათუმი, 1956.
- მესხი 1950:** მესხი ს., წერილები. სოხუმი, 1950.
- ნარკვევები 1970:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5. ტომის რედაქტორი ირაკლი ანთელავა. თბილისი, 1970.
- სკანდელი 1873:** სკანდელი ნ. (ნ. ნიკოლაძე), სხვათა შორის ნაგრძობი და განაგონი. თბილისი, 1873.
- ჭიჭინაძე 1911:** ჭიჭინაძე ზ., ისტორია ოსმალეთის ყოფილი მუსლიმანი ქართველებისა. ბათუმი, 1911.
- Отчет... 1882:** Отчет консула Палгрева за лето 1872 г. Известия кавк. ОТД. Рис. Георг. Общ. Т. VII, 1882.

ინტერნეტწყარო

- ძველი ბათუმის ქრონიკები, 2009:** ნანა კვაჭაძე, ოცნება ბათუმზე – 1878 წლის ბერლინის კონგრესი და მისი შედეგები („ბერლინის კონგრესი – ბათუმის დაბრუნება“). მასალა განთავსებულია 2009 წლის 21 ნოემბერს. დამოწმებულია: 07.04.2025. <https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/21/>

References and Sources

- Akhvlediani 1956:** Akhvlediani Kh., From the History of the Popular Liberation Struggle in Southwestern Georgia. Batumi, 1956.
- Akhvlediani 1978.** Akhvlediani Kh., Essays from the History of Georgia. Batumi, 1978.
- Berdzenishvili 1941.** Berdzenishvili N., The Struggle of the Georgian People against Foreign Invaders (The Era of Tatar Domination). Tbilisi, 1941.
- Chichinadze 1911:** Chichinadze Z., History of the Former Muslim Georgians of the Ottoman Empire. Batumi, 1911.
- Diasamidze 2016:** Diasamidze B., Historical Etudes, Vol. II. Batumi, 2016.
- Droebea 1875:** Droebea [newspaper], 1875, №120.
- Droebea 1878:** Droebea [newspaper], 187, №41.
- Droebea 1880:** Droebea [newspaper], 1880, №4, №196.
- Essays 1970;** Essays on the History of Georgia, Vol. 5. Edited by Irakli Antelava. Tbilisi, 1970.

Gomarteli 1917: Gomarteli I., Adjara and the Adjarans. Letter I – newspaper Alioni, 1917, №64; Letter II – №65; Letter III – №67; Letter IV – №68. In: Letters from the Georgian Monastery of Istanbul, Vol. III. Compiled by Roin Malaqmadze, Shushana Futkaradze, and Elza Futkaradze. Batumi, 2024.

Mgeladze 2014: Mgeladze VI., Petre Umikashvili and Southwestern Georgia under Ottoman Rule. Batumi, 2014.

Megrelidze 1956: Megrelidze Sh., The Liberation of Adjara from Ottoman Rule. Batumi, 1956.

Meskhia 1950: Meskhia S., Letters. Sukhumi, 1950.

Report... 1882: Consul Palgrave's report for the summer of 1872. Izvestia Kavkaz. OTD. Fig. Geor. Obsh. Vol. VII, 1882.

Skandeli 1873: Skandeli, N. [N. Nikoladze], Among Other Things, Noted and Heard. Tbilisi, 1873.

Vakhushti 1941: Vakhushti Batonishvili, Description of the Kingdom of Georgia (Geography of Georgia). Edited by T. Lomouri and N. Berdzenishvili. Tbilisi, 1941.

Online Source

Chronicles of Old Batumi, 2009; Nana Kvachadze, Dream of Batumi – The 1878 Berlin Congress and Its Consequences (“The Berlin Congress – The Return of Batumi”). Published: November 21, 2009. Accessed: April 7, 2025. Available at: <https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/21/>